

491.1  
შ-444

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ფერშანგის ასული მეგრელიშვილი

ფიტონიმები და მათი სიმბოლიკა "ვის ო რამინსა"  
და "ვისრამიანში"

10.02.06 - ახლო აღმოსავლეთის ენები  
(ინდურ-ირანული ენები)

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი  
1999

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯემშიდ გიუნაშვილი

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მზია ანდრონიკაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თეო ჩხეიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ქეთევან ვაშაყმაძე

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება " 5 " 11 1999 წ. " 12 " საათზე აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის P.10.06. - C №8 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.


მისამართი: თბილისი, 380062, გიორგი წერეთლის 3.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის " 5 " 10

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ლარეჯან სვანი



ნაშრომის ზოგადი აღსახარებითება

თემის აქტუალობა. ქართულ-სპარსული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ტრადიციას ღრმა ფესვები აქვს. "ვისრამიანის" თემა ქართულ ირანისტიკაში ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ფაზრ ედ-დინ გორგანის "ვის ო რამინისა" და ქართული "ვისრამიანის" ტექსტუალურად ახლოს დგომა შესაძლებლობას იძლევა ამ ძეგლების მრავალმხრივი კვლევისა, მით უფრო დარგობრივი ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით. ენის ლექსიკური მარაგის დარგობრივ შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. კვლევის ეს გზა ხელს უწყობს ენის ლექსიკური ფონდის, როგორც სისტემის შეცნობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასიკური პერიოდის სპარსული ლიტერატურული ძეგლების დარგობრივი ლექსიკა რამდენადმე შესწავლილია (შესწავლილია "შაჰ-ნამეს" ონომასტიკონი, ფერების, იარაღის, ტანსაცმლის აღმნიშვნელი ლექსიკა...). საინტერესო სურათს ქმნის ამ თვალსაზრისით ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, რომლებსაც ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი.

საკუთრივ ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ, ქართულ აგიოგრაფიაში, "ხის" ფენომენის საფუძვლიან კვლევას სათავეს უდებს პროფ. რ.სირაძე. (რ.სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ. 1987). შესწავლილია ხეთა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში V-XII სს-ის ძეგლების მიხედვით (ქ.ელაშვილი, ხეთა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში, საქ. დის., თბ. 1997). ამ მხრივ ძველი ქართული მწერლობა ძირითადად ბიბლიურია. საერო ლიტერატურაში კი ხე-სიმბოლო ნელ-ნელა თავისუფლდება რელიგიურობისაგან და თანდათან გვევლინება მხატვრულ-ამსახველობით ხერხთა ძირითად საშუალებად.

სპარსულენოვან პოეტურ ტრადიციებში ფლორის უმშვენიერეს წარმომადგენლის ოდითგან განსაკუთრებული როლი ეკუთვნოდათ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მწერლობაში ბუნება და, კერძოდ, ვარდ-ყვავილნი საკმარის გვიან მოექცნენ მგოსანთა თვალთახედვის არეში. "სანაცვლოდ, ძველი სპარსული მწერლობა თითოეულ ღმერთს თითო ყვავილს მიუძღვნია, და ეს რელიგიური სიმბოლოზში ყვავილთა მაჰმადიანობაში დამკვიდრდა. მაჰმადიანურ სპარსულ მწერლობაში ყვავილი მგოსანთა აღმადგენის უცილობელი საგანი იყო და არის დღესაც".<sup>1</sup>

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს კლასიკური სპარსული პოეზიის სამიჯნურო ხასიათის ძეგლის "ვის ო რამინის" ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკის გამოვლენა და მისი მხატვრული ფუნქციების შესწავლა "ვისრამიანის" ტექსტთან შეპირისპირებით, რაც დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. რამდენადაც მცენარეთა სახელწოდებანი ენის უძველესი ფენის კუთვნილებაა, უკვე ეს ფაქტი განსაზღვრავს მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს.

1. ვ.ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუენოს-აირეს, 1953, გვ. 137.

-5141-